



Newsletter

July 2011
№18

“სავტორო უფლება”, როგორც ავტორის ქონებრივი უფლება. მისი შეზღუდვები და სანქციები

“სავტორო უფლება”-ში ნაგულისხმევია მთელი რიგი განსაკუთრებული უფლებები, რომელნიც წარმოიშობა მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნისას. აღნიშნულ უფლებათა გამოყენებისა და დაცვის რეგულირების ზოგად წესებს ადგენს სახელმწიფო, რაც წარმოდგენილია კანონის სახით “სავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ”. კანონი იძლევა სავტორო უფლებების შემდეგ კლასიფიკაციას: სავტორო ქონებრივი და პირადი არაქონებრივი უფლებები. პირადი ქონებრივი უფლებებისაგან განსხვავებით დაუშვებელია პირადი არაქონებრივი უფლებების გასხვისება. ხოლო რაც შეეხება პირად ქონებრივ უფლებებს, მათი განსაკუთრებულობა “ნიშნავს უფლებას, განახორციელოს, ნება დართოს ან აკრძალოს სავტორო უფლების გამოყენება”. კანონის მეშვეობით ავტორებმა იციან თუ რა უფლებები აქვთ მინიჭებული მათ, სად, როდის და როგორ უნდა მოახდინონ მათი უფლებების რეალიზაცია და დაცვა. კანონი უდგენს ავტორებს ზოგად პრინციპებს, რომელთა დახმარებითაც ისინი ახორციელებენ და აკონტროლებენ მათ მიერ შექმნილი პროდუქტის სამართლიანი გამოყენების სფეროს. მიუხედავად კანონში გაწერილი შეზღუდვებისა, ავტორთა ნებაზეა დამოკიდებული თუ რა სახის დამატებით შეზღუდვებს დააწესებენ ისინი. სავტორო უფლება შექმნისთანავე განიცდის ავტომატურ დაცვას სხვისი ხელყოფისგან. ამა თუ იმ ნაწარმოების შექმნა თავისთავად გულისხმობს, რომ შექმნისთანავე არის საკუთრება, შესაბამისად თავად ავტორი განაგებს მის მიერ შექმნილ პროდუქტის ბედს. სავტორო უფლებათა მართვა გულისხმობს, ავტორის უფლებას თავისი შეხედულებისამებრ მოახდინოს მისი გამოყენება, განსაზღვროს თუ სად და როდის გამოაქვეყნებს, დააწესოს შეზღუდვები, გაუწიოს კონტროლი და დაიცვას საკუთრების უფლება მის მიერ შექმნილ ნაწარმოებზე. როგორც უკვე იქნა ხსენებული, სავტორო უფლება წარმოადგენს ავტორის საკუთრებას, აქედან გამომდინარე დაუშვებელია სავტორო უფლების გამოყენება ან რეალიზება სხვა პირის მიერ ავტორის თანხმობის გარეშე. სავტორო უფლების განსაკუთრებულ სამართლებრივ მნიშვნელობაზე ისიც მეტყველებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ცალკე მუხლად აკეთებს აღნიშნული უფლების დეკლარირებას, ადამიანის უფლებანი და თავისუფლებანი-ის თავში. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად “ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

ხელშეუვალია. შემოქმედებით პროცესში ჩარევა, შემოქმედებითი საქმიანობის ცენზურა დაუშვებელია. შემოქმედებითი ნაწარმოების დაყადაღება და გავრცელების აკრძალვა დაუშვებელია, თუ მისი გავრცელება არ ლახავს სხვა ადამიანის კანონიერ უფლებებს”.

საავტორო ქონებრივ უფლებათა ერთი-ერთი მთავარი შეზღუდვა გამოიხატება ფიზიკურ პირთა მიერ, (შემდგომში მოსარგებლე), ავტორისათვის ჰონორარის გადახდევინებაში. ჰონორარის გადახდა დაუშვებელია, საავტორო ქონებრივი უფლებების გამოყენებისათვის, თუ პირი საჯარო გაცნობის გზით საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომ ნაწარმოებს გამოიყენებს პირადი სარგებლობისთვის და არა მოგების მიღების მიზნით. იმ შემთხვევაში თუ პირი საავტორო უფლების გამოყენებით ღებულობს გარკვეულ შემოსავალს ანუ ნახულობს მოგებას, მაშინ იგი ვალდებულია ჰონორარის სახით გადაუხადოს ავტორს განსაზღვრული თანხა.

ჰონორარის შეგორვებას, განაწილებას და ჰონორარის ოდენობას განსაზღვრავს იმ ორგანიზაციათაგან ერთ-ერთი, რომლებიც კოლექტიურ საფუძველზე მართავენ ავტორთა და შემსრულებელთა ქონებრივ უფლებებს, ამ ორგანიზაციათა შორის შეთანხმების შესაბამისად.

როგორც ზემოთ იქნა ხსენებული, აღნიშნული საკითხის სახელმწიფოებრივ რეგულაციას იძლევა საქართველოს კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა” შესახებ, თუმცა კანონის საწყის მუხლშივე არის გაკეთებული დათქმა, რომ თუ “საერთაშორისო ხელშეკრულებებით, რომელთა მონაწილეც არის საქართველო, დადგენილია ამ კანონისგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებათა წესები”. სწორედ ერთ-ერთ ასეთ საერთაშორისო ხელშეკრულებას წარმოადგენს ბერნის კონვენცია, რომლის წევრი მრავალი ქვეყნიდან ერთ-ერთი არის საქართველოც.

ყველაზე ფართოდ მიღებული და გავრცელებული ბერნის კონვენცია აცხადებს, რომ თუ საავტორო უფლება ერთ-ერთ წევრ ქვეყანაში მაინც არის დაცული, იგულისხმება რომ ბერნის კონვენციის წევრ სხვა ქვეყნებშიც ავტომატურად ხდება იგივე უფლების დაცვა. ბერნის კონვენციის მიხედვით მნიშვნელობა არა აქვს იმ გარემოებას თუ სად შეიქმნა ესა თუ ის ნაწარმოები ან სად წარმოიშვა საავტორო უფლება. მაგალითად თუ ნაწარმოები შეიქმნა საქართველოში და აღნიშნულ ნაწარმოებზე საავტორო უფლების ხელყოფა განხორციელდა საფრანგეთში, მაინც ერთიდაიგივე პრინციპის მიხედვით მოხდება ხელყოფის აღმოფხვრა და ზიანის ანაზღაურება.

“საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, საავტორო და მომიჯნავე უფლებების მფლობელების ქონებრივი უფლებების სამართავად და დასაცავად, საქართველოში კოლექტიურ საფუძველზე იქმნებიან მმართველი ორგანიზაციები, არასამეწარმეო იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რომლებიც ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ დებენ ხელშეკრულებებს უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან და ყოველივე ამის საფუძველზე ახორციელებენ ავტორთა მიერ, მათზე მინიჭებულ უფლებამოსილებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოთ ხსენებული წესით

შექმნილ ორგანიზაციებს შეუძლიათ დაიცვან და წარმოადგინონ ნებისმიერი ავტორის უფლებები მიუხედავად იმისა ავტორს წერილობითი თანხმობა მიცემული ექნება თუ არა ზემოთ ხსენებული ორგანიზაციისათვის. ფაქტიურად საქმე გვაქვს ავტომატური დაცვის რეჟიმთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ავტორი წერილობით არ მიმართავს ავტორთა ქონებრივი უფლებების დაცვის ორგანიზაციას და არ განუცხადებს უარს მისი უფლებების დაცვაზე.

სწორედ, ხსენებულ პრინციპებზე დაყრდნობით შექმნილ ორგანიზაციას წარმოადგენს საქართველოს ავტორთა საზოგადოება (შემდგომში SAS), რომელსაც უმრავლესი ქვეყნების ანალოგიურ ორგანიზაციებთან აქვს გაფორმებული ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებების საფუძველზე, საქართველოში, საქართველოს ავტორთა საზოგადოება გარდა ქართველი ავტორებისა, ასევე ახორციელებს უცხოელ ავტორთა უფლებების მართვას და დაცვას. ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულება გულისხმობს უფლებას, როგორც ჩვენ, ისე მათ დაიცვან წვერი ქვეყნის მოქალაქეთა საავტორო უფლებები და დააწესონ გარკვეული სახის შეზღუდვები საავტორო უფლებათა გამოყენების არეალში. ავტომატური დაცვის პრინციპს ეყრდნობა საქართველოს ავტორთა საზოგადოებაც ქართველ ავტორთა უფლებების დაცვის სფეროში. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ავტორი წერილობით უარს არ განაცხადებს მისი საავტორო უფლებების დაცვის შესახებ, მაშინ სას, როგორც უკვე ვახსენეთ, ავტომატურად ახორციელებს საავტორო უფლებების დაცვას და აღებული ჰონორარის განაწილება-გადარიცხვას.

ასევე აღსანიშნავია, რომ ავტორებს, მიუხედავად ავტომატური დაცვის პრინციპისა, შეუძლიათ, ფორმალური თვალსაზრისით, წერილობითი ხელშეკრულებით გადასცენ სხვას თავიანთი საავტორო უფლებების წარმოდგენისა და დაცვის უფლება. საქართველოს კანონის “ავტორთა და მომიჯნავე უფლებების შესახებ” 35-ე მუხლის თანახმად, ავტორებს, შეუძლიათ თავიანთი საავტორო უფლებები სამართავად და დასაცავად გადასცენ სხვა პირს ან ორგანიზაციას. ზემოთ ხსენებული კანონი გვამბობს საავტორო უფლების გადაცემის შემდეგ საფუძველზე. კერძოდ: “სავტორო უფლება გადაიცემა კანონით ან ანდერძით მემკვიდრეობის წესით ანდა ხელშეკრულებით”. პირველი ორის შემთხვევაში რთული არაა წარმოვიდგინოთ თუ რა შეიძლება იგულისხმებოდეს ანდერძის ან კანონის გზით საავტორო უფლების გადაცემაში, ხოლო რაც შეეხება ხელშეკრულების გზით საავტორო უფლების გადაცემას, აქ შედარებით უფრო არანაცნობ სიტუაციასთან გვაქვს საქმე.

სავტორო უფლების საავტორო ხელშეკრულებით გადაცემის წესი გულისხმობს ხელშეკრულების გზით ავტორთა მიერ თავიანთი ქონებრივი უფლებების გადაცემას საავტორო და მომიჯნავე უფლებების სამართავად, კოლექტიურ საფუძველზე შექმნილ ორგანიზაციისათვის, ეს უკანასკნელი კი ლიცენზიის ხელშეკრულებით ლიცენზიანტს აძლევს განსაკუთრებულ უფლებას გამოიყენოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება. ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს: “გამოსაყენებელი ნაწარმოების ზუსტ აღწერას (სახელწოდება, მოცულობა, ჟანრი),

ნაწარმოების გამოყენების კონკრეტულ სახეს, ხელშეკრულების მოქმედების ვადას და ტერიტორიას, ჰონორარის ოდენობას ნაწარმოების გამოყენების ყოველი სახისათვის, მისი გადახდის წესსა და ვადას, აგრეთვე სხვა პირობებს, რომლებსაც მხარეები არსებითად მიიჩნევენ”.

როგორც უკვე იქნა განხილული, საქართველოში ავტორთა ქონებრივი უფლებების მართვას ახორციელებს ავტორთა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე შექმნილი მმართველი ორგანიზაცია- საქართველოს ავტორთა საზოგადოება, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” საქართველოს კანონით და ურთიერთწარმომადგენლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებით. ხსენებული ორგანიზაციის არსებობა უადვილებს ავტორებს საავტორო უფლებათა მართვას, რადგან სწორედ ეს ორგანიზაცია უზრუნველყოფს ავტორთა ქონებრივი უფლებების დაცვას სხვა გარემო გარემოებებისაგან. ავტორებს, ავტორთა საზოგადოებასთან სახელშეკრულებო ურთიერთობები უქმნის პრივილეგიურულ მდგომარეობას, მათ აღარ უწევთ ბევრი ფიქრი თუ როგორ და რა სახით მართონ და დაიცვან საავტორო ქონებრივი უფლებები. დამატებით შეიძლება ითქვას, რომ ხსენებული ორგანიზაციის დახმარებით ლეზლობენ სარგებელს საავტორო ჰონორარის სახით, რაც ერთობ მნიშვნელოვანია ავტორთა შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის.

ბოლო პერიოდში საქართველოში აღინიშნება საქართველოს ავტორთა საზოგადოების საგრძნობლად გააქტიურება. მათ ფართოდ დაიწყეს მინიჭებული უფლებამოსილების, საავტორო უფლებების, კერძოდ “საჯარო შესრულების”, გამოყენების ფარგლების გაკონტროლება და შეზღუდვების დაწესება.

საქართველოს კანონის “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” მე-4 მუხლის თანახმად “საჯარო შესრულება” არის “ნაწარმოების, შესრულების, ფონოგრამის, ვიდეოგრამის, მაუწყებლობის ორგანიზაციის გადაცემის წარმოდგენა დეკლამაციის, თამაშობის, სიმღერის, ცეკვის ან სხვა სახით, უშუალოდ (ცოცხალი შესრულება) ან ნებისმიერი მოწყობილობის მეშვეობით, ადგილზე (ადგილებზე), სადაც საჯარო შესრულება შეიძლება აღქმულ იქნეს საჯარო გადაცემის აუცილებლობის გარეშე და სადაც ესწრებიან ან შეიძლება ესწრებოდნენ პირები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ოჯახის ან ოჯახის ახლობელთა წრეს. აუდიოვიზუალური ნაწარმოების საჯარო შესრულებად ითვლება ნაწარმოების გამოსახულებათა ჩვენება თანმიმდევრობით”. ხსენებული მუხლის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობის შედეგად SAS, საქართველოში მდებარე საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, ყველა ობიექტზე, სადაც ხორციელდება ან გამოიყენება საჯარო შესრულება, რეკომენდაციის სახით სთავაზობს ხელშეკრულების გაფორმებას, რის სანაცვლოდაც მოსარგებლეს გადასცემს ლიცენზიას როგორც, ქართველი ისე უცხოელი ავტორების სახელით “საზოგადოების რეპერტუარს” მიკუთვნებული გამოქვეყნებული ნაწარმოებების საჯარო შესრულებაზე ობიექტზე. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი თუ რა სახის ჰონორარის გადახდა უწევს ამა თუ იმ საზოგადოების

თავშეყრის ობიექტის მესაკუთრეს ან ფართის დროებით მფლობელს. ხსენებული ჰონორარი ტარიფების სახით აქვს საქართველოს ავტორთა საზოგადოებას დამტკიცებული, როგორც შიდა აქტი, სას-ის გამგეობის 2007 წლის 2 მაისის გამგეობის სხდომის დადგენილებით. დებულება განსაზღვრავს საავტორო ჰონორარის ოდენობას და მოსარგებლებსათვის მისი გადახდევინების წესს მუსიკალური ნაწარმოების ტექსტით ან უტექსტოდ საჯარო შესრულებისათვის. დებულებაში დეტალურად არის ახსნილი თუ რა შემთხვევაში უწევს მოსარგებლეს ამა თუ იმ თანხის გადახდა. დებულება აკეთებს იმ იურიდიული და ფიზიკური პირების ჩამონათვალს, რომელთაც ერიცხებათ საავტორო ჰონორარი ფულადი თანხის სახით მუსიკალური ნაწარმოების საჯარო შესრულებისათვის. ტარიფები დადგენილია იმისდამიხედვით თუ, რომელი ობიექტის მფლობელია მოსარგებლე და რამდენი ადამიანი შეიძლება მოთავსდეს სათავსოში. ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ თუ მოსარგებლე არ ეთანხმება ავტორთა საზოგადოების მიერ მოფიქრებულ და დამტკიცებულ ტარიფებს, მას შეუძლია მიმართოს საქპატენტს და მოითხოვოს ტარიფების რეგულაცია, შემცირება ან გაზრდა. ხოლო თუ საქპატენტის პასუხიც არადაამაკმაყოფილებელი აღმოჩნდება მოსარგებლისთვის, მაშინ მას შეუძლია პასუხის მიღებიდან 2 თვის ვადაში მიმართოს სასამართლოს. განხილული უფლების არსებობის შესაძლებლობას იძლევა თვით კანონი “საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ”.

როგორც ზემოთ იქნა ხსენებული, საქართველოს ავტორთა საზოგადოება ხელშეკრულების დადებას მოსარგებლეს რეკომენდაციის სახით სთავაზობს. იძულებითი ხასიათის არც შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადება, რადგან სსკ-ის 361-ე მუხლის თანახმად მხარეები ხელშეკრულების დადებისას თავისუფალნი არიან ნების გამოხატვისას. აქედან გამომდინარე, SAS-ის მოქმედება, ერთი შეხედვით შეიძლება არ შევაფასოთ, როგორც იძულებითი ხასიათის ღონისძიებად თუ არ გავითვალისწინებთ ხელშეკრულების არ დადების შედეგებს.

საქართველოს კანონის “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” 65-ე მუხლის “ვ” პუნქტის თანახმად, საქართველოს ავტორთა საზოგადოებას უფლება აქვს შეასრულოს ნებისმიერი ქმედება, რომელიც საჭიროა მისთვის სამართავად გადაცემული უფლებების დასაცავად და განსახორციელებლად, მათ შორის, წარმოადგინოს უფლების მფლობელი სასამართლოში და ისარგებლოს საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული ყველა უფლებით. 65-ე მუხლის შინაარსიდან ნათლად ჩანს, რომ თუ საქართველოს ავტორთა საზოგადოებასა და მოსარგებლეს შორის ვერ შედგება შეთანხმება ანუ მოსარგებლე არ გააფორმებს სალიცენზიო ხელშეკრულებას SAS-თან ან ინდივიდუალურად ყველა იმ ავტორთან ვის ნაწარმოებსაც იყენებს მოსარგებლე, მაშინ, სსკ-ის 191 მუხლის თანახმად, SAS აქვს უფლება მიმართოს სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომლითაც ითხოვს, არახელშემკვრელი მხარის საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებულ, საზოგადოებრივი თვაშეყრის ადგილზე ყადაღის დადებას.

იმ შემთხვევაში, თუ მოსარგებლე დაარღვევს საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან დადებულ ხელშეკრულების პირობებს ანუ არამართლზომიერად გამოიყენებს სხვის საავტორო უფლებას, კერძოდ: უკანონო გზით შექმნა, იმპორტი, შენახვა, გაყიდვა, გაქირავება და სხვა უკანონო გზით გამოყენება, მაშინ საკ-ის 157¹-ე მუხლის თანახმად, სახეზე გვექნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა, რასაც თან ახლავს შესაბამისი სანქციები. კერძოდ: პირი “ჯარიმდება ხუთასიდან სამი ათას ლარამდე, აგრეთვე მოწყობილობებისა და ტექნიკური საშუალებების კონფისკაციით; იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, ადმინისტრაციული სახდელის დადებიდან ერთი წლის განმავლობაში, გამოიწვევს დაჯარიმებას სამი ათასიდან ხუთი ათას ლარამდე, აგრეთვე იმ ტექნიკური საშუალებების და მოწყობილობების კონფისკაციით, რომლებიც გამოიყენება მათი რეპროდუცირებისათვის ან ტექნოლოგიური საშუალების გვერდის ავლისთვის”.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია 1996 წლის შემსრულებლებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულებაში პირდაპირ მოუწოდებს და ავალდებულებს წევრ ქვეყნებს, რომ ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინონ სანქციები არაკანონიერი გზით საავტორო უფლების გამოყენების შემთხვევებში. “ისმო” ზემოთ ხსენებულ ხელშეკრულებაში ასევე ავალდებულებს თითოეულ მონაწილე მხარეს გაატარონ ისეთი სამართლებრივი ღონისძიებები, რომელიც უზრუნველყოფს ხელშეკრულების ამოქმედებას. კერძოდ, ხელშეკრულების მოკლე მიმოხილვაში წერია, რომ მონაწილე მხარისათვის სავალდებულოა, ეროვნული კანონმდებლობით გაითვალისწინოს უფლებების განხორციელების ეფექტური პროცედურები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებათა დარღვევის აღსაკვეთად.

კანონმდებლის მხრიდან ზემოთ ჩამოთვლილ სანქციათა დაწესება და მათი ეფექტურად გამოყენება გულისხმობს საავტორო უფლებათა შემდგომ დარღვევათა შეჩერებას ან შემცირებას.

რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას, რომ მიზანშეწონილი იქნება, ნებისმიერმა მოსარგებლემ იქნება ეს რესტორანი, ღამის კლუბი თუ უბრალოდ საზოგადოების თავშეყრის ადგილი გააფორმოს ხელშეკრულება საქართველოს ავტორთა საზოგადოებასთან და მიიღოს ლიცენზია საზოგადოებრივ რეპერტუარს მიკუთვნებულ ნაწარმოების შესრულებაზე, რადგან, თავიდან იქნას აცილებული მოსალოდნელი არასასურველი შედეგები. როგორც ზემოთ მოცემული მსჯელობიდან ჩანს, გაცილებით უფრო დიდ თანხებთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული არალიცენზირებული “საჯარო შესრულების” გამოყენება, ვიდრე ყოველთვის უფრო დადგენილი გადასახადის გადახდა.

სტატიიდან შესაძლებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი დასკვნის გაკეთება:

1. საავტორო ქონებრივი ურთიერთობების რეგულაცია საქართველოს სამართლებრივ სისტემაში არ წარმოადგენს ნოვაციას, თუმცა ნოვაციად შეიძლება იქნეს აღქმული საქართველოს ავტორთა საზოგადოების მიერ აღნიშნული უფლებების, კერძოდ “საჯარო

შესრულების”, გამოყენებისა და დაცვის სფეროს გაკონტროლების სადავეების მართვა.

2. მნიშვნელოვანია ასევე, რომ საავტორო ქონებრივი უფლებების დარღვევისას საქმე გვაქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან, რასაც თან ახლავს შესაბამისი საჯარიმო სანქციები.
3. აუცილებელია აღინიშნოს საქართველოს ავტორთა საზოგადოების მიერ ტარიფების დადგენა საზოგადოებას მიკუთვნებულ რეპერტუარის გამოყენებაზე. შიდა აქტით განსაზღვრული ტარიფები არ ატარებენ იმპერატიულ ხასიათს, რაც გულისხმობს რომ, “მოსარგებლეს” შეუძლია მისთვის მიუღებელი ტარიფი გააპროტესტოს ჯერ საქპატენტში, მერე სასამართლოში.
4. მიზანშეწონილია საერთაშორისო ხელშეკრულებებისთვის პრივილეგიის მინიჭება. თუმცა ყოველივე ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგნორირდება ეროვნული კანონი. კანონშიც და საერთაშორისო ხელშეკრულებებშიც (ისმო, ბერნის კონვენცია) აღნიშნულია, რომ თუ ვერ რეგულირდება კონკრეტული სამართლებრივი საკითხი ანუ ეროვნული კანონი განიცდის კონკრეტული საკითხის მარეგულირებელი ნორმების ნაკლებობას, მხოლოდ მაშინ ხდება საერთაშორისო ხელშეკრულებების ნორმათა გამოყენება.

წარმოდგენილი სტატიიდან ნათლად ჩანს, რომ ავტორთა ქონებრივი უფლებების შინაარსი, მათი არაქონებრივი უფლებებისგან გამიჯვნის პრინციპები და რაც, ყველაზე მთავარია საავტორო ქონებრივი უფლებების დაცვის ასპექტები საკმაოდ ამომწურავად არის შემუშავებული და ჩამოყალიბებული საქართველოს “საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ” კანონში. მიუხედავად ხსენებული ეროვნული კანონის არსებობისა, ხაზგასასმელია ის ფაქტორიც, რომ კანონმდებელი არ ჯერდება მარტო საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას, ამ შემთხვევაში ზემოთ ხსენებულ კანონს, და აკეთებს დათქმას საერთაშორისო ხელშეკრულებების უპირატესობაზე. ზოგადად, საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინება და ამავდროულად მისი გამოყენება, დანერგვა ერთობ მნიშვნელოვანია ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის როგორც საქართველოა. საერთაშორისო ხელშეკრულებებით ხელმძღვანელობა და მათი როგორც სახელმძღვანელო წესებად გამოყენება ინტელექტუალურ სამართლებრივ ურთიერთობებში, გამოიწვევს, აღნიშნული სფეროს, უფრო ეფექტურად დარეგულირებას.

თამარ ჭაჭუა